



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



**CAUCASUS**  
SWISS AGRICULTURAL SCHOOL

# პრაქტიკული ტრენინგები სოფლის მეურნეობაში

## სახელმძღვანელო

მსხვილფეხა ცხოველთა ჯანმრთელობა

### I

წინამდებარე სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ გაწეული დახმარების შედეგად. კუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის შეხედულებებს.

# ცხოველების ჯანმრთელობის შეფასება და მშობიარობა



ამ თავში თქვენ შეისწავლით თუ როგორ უნდა დაადგინოთ, არის თუ არა ცხოველი ავად და რა სახის ჯანმრთელობის პრობლემა შეიძლება ჰქონდეს მას. თქვენ ასევე შეგიძლიათ კომპეტენტურად ამშობიაროთ ცხოველი.

მიღებული კომპეტენციის გამოყენება მაგალითად შემდეგ სიტუაციებში შეგიძლიათ:

- სიტუაცია 1      თქვენ ამჩნევთ, რომ ხბოებს გაუხშირდათ ხველა, შემცირდა რძის მოხმარება და რამდენიმე ხბო მძიმედ სუნთქავს. ზოგიერთ ცხოველს აქვს მომატებული სხეულის ტემპერატურა. ყველა ავადმყოფი ხბო ერთ კუთხეშია მიწოლილი. თქვენ შეგიძლიათ ახსნათ, თუ რა არის ცხოველების ამგვარი ქცევის მიზეზი.
- სიტუაცია 2      ორსულობის მეშვიდე თვეში მყოფი ძროხა საკვებს აღარ იღებს. მისი მუცელი შებერილია, ფეკალი მშრალი, ხოლო სხეულის ტემპერატურა მაღალი. თქვენ განიხილავთ ჯანმრთელობის პრობლემების შესაძლო მიზეზებს და შეგიძლიათ შეაფასონ, საჭიროა თუ არა ვეტერინარის გამოძახება.
- სიტუაცია 3      რამდენიმე დღის წინ ნამშობიარებ ძროხაში ამჩნევთ მადის დაქვეითებას. უფრო მეტიც, რძის წარმოება არ მატულობს და დღიდან დღემდე მერყეობს. რა დამატებით დაკვირვებებს აკეთებთ და როდის მიმართავთ ვეტერინარს?

## **შინაარსი**

|   |           |
|---|-----------|
| <b>1 ცხოველთა ჯანმრთელობის შეფასება</b>                                 | <b>3</b>  |
| 1.1 წყურვილი და მადა  | 3         |
| 1.2 წარმოების მონაცემების ინტერპრეტაცია                                 | 5         |
| 1.3 სხეულის ტემპერატურის გაზომვა  | 6         |
| <b>2 დაავადებული ცხოველების ამოცნობა, დაავადების პრევენცია და მოვლა</b> | <b>8</b>  |
| 2.1 რესპირატორული დაავადების მქონე ცხოველები                            | 9         |
| 2.2 საჭმლის მონელების დარღვევების მქონე ცხოველები                       | 16        |
| 2.3 მოტორიკის დარღვევის მქონე ცხოველები                                 | 22        |
| <b>3 განაყოფიერება და განაყოფიერების დარღვევების მქონე ცხოველები</b>    | <b>33</b> |
| 3.1 გამრავლება მდედრ პირუტყვში  | 33        |
| 3.2 რეპროდუქციული დარღვევები  | 37        |
| 3.3 ორსულობის შემოწმება   | 40        |
| <b>4 მშობიარობა</b>   | <b>43</b> |
| 4.1 დაკვირვება ფიზიკურ ცვლილებებზე                                      | 44        |
| 4.2 სამშობიარო ადგილის მომზადება  | 45        |
| 4.3 საშვილოსნოს ყელის გახსნა  | 45        |
| 4.5 პოსტნატალური პერიოდი  | 50        |
| 4.6 დანართი   |           |

# 1 ცხოველთა ჯანმრთელობის შეფასება

ცხოველები პათოგენურ ზემოქმედებაზე თავდაცვითი რეაქციებით რეაგირებენ. ეს რეაქციები და სხეულის ფუნქციების გარკვეული დარღვევები იწვევს დაავადების ხილული და გაზომვადი ნიშნების გაჩენას. ცხოველის პატრონის ამოცანაა ადრეულად ამოიცნოს ეს ნიშნები და იმოქმედოს ცხოველთა კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, როგორც წესი, დიაგნოზის დასმა ვეტერინარს უწევს ხოლმე. სწორედ ის იღებს გადაწყვეტილებას აუცილებელი თერაპიის შესახებ. ცხოველების ოპტიმალურად შენახვა და ამით დაავადებების პრევენცია ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობის ნაწილია.

მხოლოდ მათ, ვინც იცის, როგორ იქცვიან ჯანსაღი ცხოველები, შეუძლიათ სწრაფად და კომპეტენტურად გამოავლინონ ჯანმრთელობის პრობლემები. ამიტომ, კარგად უნდა ვიცნობდეთ ჯანმრთელი ცხოველების ნორმალური ქცევის ნიშნებს (დასვენების დროს, ჭამის დროს, ჯგუფში და ა.შ.), რათა ქცევის ცვლილება, რომელიც ხშირად ჯანმრთელობის პრობლემაზე მიუთითებს, სწორად იყოს ინტერპრეტირებული.

|              |                         |
|--------------|-------------------------|
| სიმპტომი     | = ავადმყოფობის ნიშნები  |
| ეტიოლოგია    | = ავადმყოფობის მიზეზი   |
| დიაგნოზი     | = ავადმყოფობის ამოცნობა |
| პროფილაქტიკა | = პრევენცია             |
| თერაპია      | = მკურნალობა            |

## 1.1 წყურვილი და მადი

ცხოველის კეთილდღეობის ძალიან მკაფიო ნიშანია მისი ჭამა-სმა.

მადის სწორი შეფასება მოიცავს საკვების ხარისხის შეფასებას და სახეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური კვების ჩვევების გათვალისწინებას. ასე, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ცხენში კვების დროს გაკეთებული ხანგრძლივი შესვენებები მადის ნაკლებობაზე მიუთითებს, ეს ასე არ არის მცოხნელების შემთხვევაში. ცხოველის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ასევე მოხმარებული საკვების რაოდენობა და იგი უსუსტად უნდა იყოს აღრიცხული. ძალიან მნიშვნელოვანია იმის ამოცნობა, ცხოველს ჭამა არ სურს თუ არ შეუძლია. მცირე განსხვავებებიც კი ხშირად მნიშვნელოვანია დაავადების მიმდინარეობის შესაფასებლად, მაგალითად, ცხოველი საერთოდ აღარ ჭამს თუ მხოლოდ ცოტას ჭამს და ა.შ.

მცოხნელები ძალიან სწრაფად ჭამენ. ისინი ზოგჯერ უცხო სხეულებსაც ყლაპავენ.

## საქონელი

მცოხნელების მადა განსაკუთრებით კარგად შეიძლება შეფასდეს კვების შემდეგ, მაგალითად, ბაგაში არსებული საკვების ნარჩენების და ახალ საკვებზე ცხოველების რეაქციის მიხედვით. მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ, ცალკეული ცხოველი ავლენს უმაღობას თუ მთელ ჯგუფი. ცალკეულ ცხოველის მიერ საჭმელზე უარის თქმის დადგენა შესაძლებელია იმით, რომ საკვებურში დარჩენილია უფრო მეტი საკვები ან ცხოველი უარს ამბობს ახალ საკვებზე. თუ ამგვარი ქცევა შეინიშნება, სავარაუდოა, რომ ცხოველი ავად იყოს. შესაბამისად, მას უფრო დეტალურად უნდა დავაკვირდეთ და შევისწავლოთ

როდესაც საქონელი ჯგუფურად უარს ამბობს საკვებზე, ამის მიზეზი ხშირად თავად საკვებში უნდა ვეძიოთ. უმეტეს შემთხვევაში, საქმე გვაქვს ხოლმე ნაკლებხარისხიან საკვებთან - მაგალითად, უარესი საკვები მცენარეების, დაბინძურებული საკვების ან მშრალი ნივთიერების დაბალი შემცველობის მქონე საკვების გამო. ასეთ შემთხვევებში ჭამის სურვილი თავისთავად უბრუნდებათ ხოლმე „უკეთესი“ საკვების მიცემისას. თუმცა, აქაც ცხოველთა მთელი ჯგუფის მდგომარეობა (მაგ. სიცოცხლით სავსე, პოზა, განავალი) უნდა შეფასდეს, რათა გამოირიცხოს ჯგუფის ავადმყოფობა. გარკვეული დაავადებების - განსაკუთრებით დიარეის შემთხვევაში - ცხოველები დიდი რაოდენობით სითხეს კარგავენ. ამიტომ მნიშვნელოვანია იმაზე დაკვირვება, სვამს თუ არა ცხოველი და რამდენს. პრინციპში, წყალი ყოველთვის თავისუფლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა ცხოველისთვის.

## 1.2 წარმოების მონაცემების ინტერპრეტაცია


ავადმყოფი ცხოველი ვეღარ იზრდება ან ვეღარ აწარმოებს რძეს ასე სწრაფად. ამიტომ, წონის დაკლება ან რძის გამომუშავების შემცირება დაავადების მანიშნებელია.

### საქონელი

ჯანმრთელ რძის მიერ წარმოებული რძის რაოდენობა მშობიარობიდან ორი თვის განმავლობაში იზრდება და შემდეგ მუდმივად მცირდება ლაქტაციის დასრულებამდე. რძის რაოდენობაზე ასევე გავლენას ახდენს რძის წველის შორის პერიოდები, ხელმისაწვდომი საკვების რაოდენობა და ახურება.

მერძული ძროხების დაავადების გამოსავლენად კარგია მეთოდი რძის დღიური რაოდენობაზე და რძეში სომატური უჯრედების შემცველობაზე დაკვირვება. ორივე ადვილად გაზომვადია. რძის დღიური წარმოების ათი ან ოც პროცენტზე მეტით შემცირება მიუთითებს ძროხის შესაძლო დაავადებაზე.

### მერძული ძროხები ლაქტაციის მრუდი



ჯანმრთელ მერძულ ძროხებში რძის წარმოება რეგულარულია. წარმოების უეცარი ვარდნა დაავადებაზე მიუთითებს.

მეძუძური ძროხების შემთხვევაში, რძის წარმოება, როგორც წესი, შეიძლება მხოლოდ ირიბად - ხბოს წონის მომატების გზით - დადგინდეს. ამიტომ, ეს მეთოდი, როგორც წესი, დაავადების გამოვლენისთვის არ გამოგვადგება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადებების გამოვლენა ხშირად წონის შემოწმებით შეიძლება. ეს მეთოდი განსაკუთრებით შესაფერისია მეხორცული ძროხების შემთხვევაში, რადგან შესაძლებელია ცხოველების რეგულარულად აწონვა. თუ ზრდა ფერმერის მოლოდინებზე დაბალია, ან თუნდაც მცირდება, ეს შესაძლოა ფარული ავადმყოფობის მანიშნებელი იყოს.

### 1.3 სხეულის ტემპერატურის გაზომვა

თუ ცხოველი უცნაურად, „არანორმალურად“ იქცევა და თქვენი აზრით ამოს გამოძვვევი მიზეზი შესაძლოა ავადმყოფობა იყოს, პირველი რაც უნდა გააკეთოთ არის მისი სხეულის ტემპერატურის გაზომვა.

ცხელება ხშირად მწვავე დაავადების პირველი ნიშანია და ჩვეულებრივ ასოცირდება მადის დაქვეითებასთან, გულისცემის და სუნთქვის გახშირებასთან და განავლის სიმშრალესთან. ცხელებას ასევე შეიძლება ახლდეს შეციება და კუნთების კანკალი, განსაკუთრებით კი, მაღალი სიცხის დროს. ტემპერატურის მონაცემები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის დაავადების მიმდინარეობის შესახებ და მნიშვნელოვანია მკურნალობის წარმატების შესაფასებლად. იმისთვის, რომ სიცხის მიმდინარეობის შესახებ განაცხადის გაკეთება შეგეძლოს, გაზომვები უნდა ჩატარდეს რეგულარულად - ორჯერ ან უფრო მეტად.

ცხელების დროს, ორგანიზმი დაავადების გამომწვევი მიზეზებზე ტემპერატურის მატებით რეაგირებს. სხეულის მაღალ ტემპერატურაზე, ძლიერდება მეტაბოლური პროცესები, რათა ორგანიზმმა პათოგენებსა და ანთებაზე უფრო სწრაფი რეაგირება მოახდინოს

#### თერმომეტრის სწორად გამოყენება

ცხოველებში სხეულის ტემპერატურის გაზომვის ყველაზე მარტივი გზა ანუსშია. თერმომეტრის ჩასმის გასაადვილებლად შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გამოყენებული ლუბრიკანტი. ეს ხელს შეუშლის ანუსში კანის შეღწევასა და დაჭიმვას. თერმომეტრი შეიძლება დამაგრდეს ცხოველის კუდზე ძაფით და ტანსაცმლის სამაგრით, რათა თავიდან ავიცილოთ მიწაზე დაცემა ანუსიდან ამოვარდნის შემთხვევაში.

იმისათვის, რომ სხეულის ტემპერატურა სწორად გაიზომოს, უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი პუნქტები:

- გაზომვის დრო: ვერცხლისწყლის თერმომეტრით მინიმუმ სამი წუთი, ციფრული თერმომეტრით სიგნალის გაგონებამდე (დაახლოებით 1 წუთი).
- თერმომეტრი საკმარისად ღრმად შეიყვანეთ, ისე რომ ანუსის კედელს შეეხოს.
- გამოიყენეთ მხოლოდ ფუნქციონირებადი თერმომეტრები.
- გაზომვის დაწყებამდე დაფერთხეთ ვერცხლისწყლის თერმომეტრი.
- გაზომეთ სხეულის ტემპერატურა მხოლოდ ემოციურად მშვიდ ცხოველებში.
- არ გაზომოთ ცხოველის ტემპერატურა ფიზიკური დატვირთვის შემდეგ მყისიერად



ავადმყოფობის ეჭვის დროს, გაუზომოთ სიცხე

**სხვადასხვა ცხოველის ტემპერატურა**

| ცხოველი               | ზრდასრული | ახალგაზრდა | პირველი კვირები |
|-----------------------|-----------|------------|-----------------|
| <b>ძროხა</b>          | 38,5-39,2 | 38,5-39,5  | 40-მდე          |
| <b>ღორი</b>           | 38,0-39,0 | 38,5-40,0  | 40-მდე          |
| <b>დედალი</b>         | 40,5-42,0 | 40,0-41,0  | 39,0-41,0       |
| <b>სახორცე ქათამი</b> | 41,0-43,0 | 40,0-41,0  | 39,0-41,0       |
| <b>ცხვარი</b>         | 38,5-39,5 | 38,5-40,0  | 40.5-მდე        |
| <b>თხა</b>            | 38,5-39,5 | 39,0-40,0  | 41-მდე          |
| <b>ცხენი</b>          | 37,0-38,0 | 37,5-38,5  | 39-მდე          |

ასაკის გარდა, სხეულის ტემპერატურის ინტერპრეტაციისას ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული შემდეგი პუნქტები:

- სხეულის ტემპერატურა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს (მაქსიმუმ 0,5 °C) გარემოს ტემპერატურისა და საცხოვრებლის ტიპის მიხედვით.
- ორსულ ძროხებს ჩვეულებრივ 0,3-0,5 °C-ით უფრო მაღალი სხეულის ტემპერატურა აქვთ (დაბადებამდე ერთი კვირით ადრე 39 °C-მდე). დაბადებამდე 12-24 საათით ადრე, სხეულის ტემპერატურა 38,5 °C-მდე ეცემა.
- ახურებამდე ორი-ოთხი დღით ადრე პირუტყვის სხეულის ტემპერატურა ეცემა დაახლოებით 0,3°C-ით და შემდეგ, ახურების დროს იზრდება 0,1-დან 0,5°C-მდე



## 2 დაავადებული ცხოველის ამოცნობა და სწორი მოვლა

ცხოველის მადა, პროდუქტიულობა და სხეულის ტემპერატურა საშუალებას იძლევა მივიღოთ პირველადი ინფორმაცია ცხოველის ავადმყოფობის შესახებ.

ამ სიმპტომების ერთობლიობა, დამატებით დაკვირვებებთან ერთად იძლევა პირველი ვარაუდის გაკეთების საშუალებას, თუ სხეულის რომელ რეგიონი იყოს შეიძლება დაავადებული.

კავშირი სიმპტომებსა და სხეულის რეგიონებს შორის

| ორგანო                    | უმაღლობა | პროდუქტიულობის ვარდნა | მადალი სიცხე | დამატებითი სიმპტომები                              |
|---------------------------|----------|-----------------------|--------------|--|
| სასუნთქი გზები            | ● ●      | ● ●                   | ● ● ●        | ხველა, გამონადენი ცხვირიდან                        |
| საჭმლის მონელების სისტემა | ● ● ●    | ● ● ●                 | ●            | შეცვლილი ცოხნა, გაზები, ფადარათი, მუცლის ტკივილი   |
| სამოძრაო აპარატი          |          |                       | ● ●          | სიზანტე, შესიებული კიდურები, გართულებული წამოდგომა |
| გამრავლების ორგანოები     |          |                       |              | სისხლდენა, სისხლიანო ლორწო                         |
| მშობიარობა                | ● ●      |                       | ●            | ცურში წყლის ჩადგომა, დასუსტებული მენჯები           |
| ცური                      | ● ●      | ● ● ●                 | ● ●          | ფანტელები რძეში, თბილი ცური                        |
| ნივთიერებათა ცვლა         | ● ●      | ●                     |              | მწოლიარე ძროხა, აცეტონის სუნი                      |

ავადმყოფობის გავლენა

- ძალიან ხშირი
- ხშირი
- ნაკლებად ხშირი

### 2.1 რესპირატორული დაავადებების მქონე ცხოველები

რესპირატორული დაავადებები ძირითადად გვხვდება იმ მეურნეობებში გვხვდება, სადაც ცხოველები დიდი ხნის განმავლობაში მცირე ფართობზე ერთად იმყოფებიან. ის აქ ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს შორისაა

## რესპირატორული დაავადებების მქონე ცხოველების ამოცნობა

ერთის მხრივ, რესპირატორული დაავადებების ამოცნობა ტიპური ტიპური სიმპტომებით - ხველა, შეცვლილი სუნთქვა ან ცხვირიდან გამონადენი - შეიძლება. თუმცა, მათ ხშირად თან ახლავს ზოგადი კეთილდღეობის დარღვევა. რესპირატორული დაავადებები შეიძლება გამოწვეული იყოს გარე ზემოქმედებით - მაგალითად ჰაერში დამაბინძურებლებით - და პათოგენების არსებობით.

ერთი და იგივე რესპირატორულმა დაავადებამ შეიძლება სხვადასხვა სიმპტომები გამოიწვიოს. მაგალითად, ფილტვის ჭიები (*Dictyocaulus viviparus*) ხბოებში ძალიან გამოხატულ სიმპტომებს იწვევენ: ხბოებს ახასიათებთ მკვეთრად შეცვლილი სუნთქვა, აქვთ გამონადენი ცხვირიდან და თვალებიდან, პირიდან გადმოსდით ქაფი და წყვეტენ საკვებისა და სასმელის მიღებას. ვეტერინარის მიერ დროული მკურნალობის გარეშე, ხბოები მალე იღუპებიან. მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში კი, ფილტვის ჭიებით დაავადება ნაკლებად გამოხატულია: პირუტყვს აწუხებს მუდმივი ხველა და წონაში იკლებს, მაგრამ, როგორც წესი, მაინც ავლენს კარგ მადას.

თუმცა, კონკრეტულ სიმპტომს ასევე შეიძლება ჰქონდეს ძალიან განსხვავებული მიზეზებიც. მაგალითად, სწრაფი სუნთქვის მიზეზი შეიძლება იყოს არა მხოლოდ სასუნთქი გზების დაავადება, არამედ ხბოს სისხლში დიარეით გამოწვეული ჰიპერმქავიანობა ან სტრესი და ტკივილი.



ავადყოფი ხბო. პირი ფართოდ აქვს ღია და მძიმედ სუნთქვს

### ხველა


ხველა ალბათ რესპირატორული დაავადების ყველაზე გავრცელებული და დამახასიათებელი ნიშანია.

ცხოველების ხველა განსაკუთრებით შესამჩნევია ბაგაში მუშაობისას. ხბოების შემთხვევაში, ავადყოფი ცხოველების იდენტიფიცირება ადვილია ნამჯის ან თივის დაყრისას, რადგან ამ დროს მტვერი წარმოიქმნება, რომელიც კიდევ უფრო აღიზიანებს ისედაც გაღიზიანებულ სასუნთქ გზებს და ხველას იწვევს.

ხველას ტრაქეის ან ბრონქების გასწვრივ გამოწვეული გაღიზიანება იწვევს და მისის სიჩქარე საათში 600 კილომეტრამდეა. ფილტვებში ან პლევრაში ცვლილებებმა შეიძლება ასევე გამოიწვიოს ხველა

სასუნთქი გზები ცხვირის წვერიდან იწყება, ფილტვებით მთავრდება და ნესტოებიდან ბრონქებამდე ლორწოვანი გარსითაა დაფარული

### ძროხის სასუნთქი გზები




1. ნესტო
2. ცხვირის ღრუ
3. ხახა
4. ყელი
5. ყია/ხორხსარქველი
6. ნაქი
7. ტრაქეა
8. ბრონქები
9. ფილტვი
10. პლევრა

ტრაქეა ხრტილოვან მილს წააგავს და მისი შიდა კედელი ლორწოვანი გარსითაა დაფარული. ლორწოვანი გარსის სპეციალური ჯირკვლები წარმოქმნიან ლორწოს, რომელიც იცავს ტრაქეას.

თუ უცხო სხეულები, როგორცაა მტვრის ნაწილაკები, მოხვდება ტრაქეაში, ტრაქეის წამწამებს შეუძლიათ მათი გამოდევნა. თუკი უცხო ნაწილაკების ზემოქმედება ძალიან ძლიერია და მათი გამოდევნა ვერ მოხერხდა, შესაძლოა მათი გამოდევნა ხველების საშუალებით მოხდეს.

ხახის არეში და ტრაქეაში ხველა გამოწვეულია ლორწოვანი გარსის გაღიზიანებით ან უნებლიე გადაცდენით

- ლორწოვანი გარსის გაღიზიანებს იწვევს დაავადების შედეგად გაჩენილი ანთებითი ცვლილებები, მავნე აირების ჩასუნთქვა ან უცხო სხეულებით გამოწვეული დაზიანებები.
- გადაცდენის შემთხვევაში, საკვების კომპონენტები შეიძლება ყელში გაიჭედოს ან შემთხვევით საყლაპავი მილის ნაცვლად სასულეში მოხვდეს და მყისიერი ხველა გამოიწვიოს.



### გამონადენი ცხვირიდან, ნახველი

სასუნთქი გზების დაავადებების დროს, ხველის გარდა, ხშირია ცხვირიდან გამონადენი, ხოლო ზოგჯერ ნახველი

- თუ ცხვირის ლორწოვანი გარსი ძლიერ არის გაღიზიანებული ან დაზიანებული პათოგენებით, მტვრის ნაწილაკებით, ყვავილის მტკვრით, ან მავნე გაზებით, გამონადენი იქნება გამჭვირვალე, წყლიანი და ლორწოვანი. თუ გაღიზიანება გრძელდება, გამონადენი შეიძლება გახდეს ჩირქოვანი ან სისხლიანი.
- ნახველი შედგება ხახის, სასუნთქი მილის ან ფილტვების ამონახველისგან, რომელსაც პირუტყვი ხშირად უკან ყლაპავს და, შესაბამისად, ნაკლებად შესამჩნევია, ვიდრე ცხვირიდან გამონადენი.




გამონადენი ცხვირიდან დაავადების დროს

### შეცვლილი სუნთქვა

სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსი მუდამ რეაგირებს გაღიზიანებაზე ან ანთებით პათოგენებზე. დაავადების სიმძიმეიდან გამომდინარე, ეს იწვევს სასუნთქი გზების შევიწროებას და გარკვეულ პირობებში ლორწოს დაგროვებას ტრაქეაში, ბრონქებსა და ალვეოლებში. ერთის მხრივ, ეს ამცირებს შესუნთქვის მოცულობას და, მეორე მხრივ, ჟანგბადისათვის ფილტვების ალვეოლების ნაკლები ფართობია ხელმისაწვდომი. შედეგად ავადმყოფ ცხოველს უფრო სწრაფად სუნთქვა უწევს, რათა საკმარისი ჰაერი მიიღოს და სისხლს საკმარისი ჟანგბადი მიაწოდოს.

## ფილტვი




- 1 ტრაქეა
- 2 ბრონქები
- 3 ალვეოლები თხელი კაპილარებითაა დაფარული
- 4 სისხლის წითელი უჯრედები ალვეოლებიდან ჟანგბადს იღებენ. ფილტვებს საშუალებით ნახშირორჟანგი ამოისუნთქება

ჩასუნთქული ჰერი ტრაქეაში ცხვირის და ნაწილობრივ პირის გავლით შედის. ტრაქეა ქვედა ბოლოში ორ ბრონქად იყოფა. იქიდან ჰერი ბრონქებით და მათი განშტოებებით ფილტვებისკენ და ალვეოლებისკენ მიემართება. ჰერში შემავალი ჟანგბადი სისხლში ალვეოლების კედლის მეშვეობით ხვდება.


ფილტვის ორივე განაყოფი რამდენიმე ასეულ მილიონ ალვეოლს შეიცავს, რომელთა დიამეტრი დაახლოებით 0,2 მილიმეტრია, რაც მთლიანობაში 100 კვადრატულ მეტრზე მეტ ფართობს შეადგენს.

ჯანმრთელი ცხოველი აქტიურად სუნთქავს და ამით აფართოებს გულმკერდის სივრცეს სასუნთქი კუნთების მეშვეობით (დიაფრაგმა და ნეკნთაშუა კუნთები). ფილტვების გადიდება მატის უარყოფით წნევას ქმნის, რაც იწვევს ჰაერის შემოღინებას. ჩასუნთქვის შემდეგ ფილტვის ელასტიკური ქსოვილი იწელება და ჰაერით ივსება. ამოსუნთქვა ძირითადად პასიური პროცესია, რაც სასუნთქი კუნთები მოდუნებას მოყვება - ფილტვების ხელახლა იკუმშება და ჰაერი ფილტვებიდან გამოედინება.

**ჰაერის შესუნთქვის სქემა**



სუნთქვის დროს, დიაფრაგმისა და ნეკნთაშუა კუნთების შეკუმშვა, ფილტვებში ვაკუუმის წარმოქმნას და შედეგად, ჰაერის ფილტვებში ჩადინებას იწვევს



ამოსუნთქვა ძირითადად პასიური პროცესია, რასაც ფილტვების კუნთების მოდუნება იწვევს

**რესპირატორული დაავადებების სხვა სიმპტომები**  
 რესპირატორული დაავადებების მქონე ცხოველებში ხშირია ცხელება, მადის დაქვეითება ან საკვებზე სრულად უარის თქმა.

**რესპირატორული დაავადებების მქონე ცხოველების მოვლა**

თუ ცხოველში შეინიშნება არანორმალური სუნთქვა, ხველა ან ცხვირიდან გამონადენი, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე რესპირატორულ დაავადებასთან გვაქვს. სიმპტომებზე დაკვირვება შესაძლო მიზეზებს მიგვითითებს.

რესპირატორული დაავადებების უმეტეს შემთხვევაში საჭიროა ვეტერინარის კონსულტაცია.

**რესპირატორული დაავადებების მიზეზები, დაკვირვებები და ზომები**

| სავარაუდო დაავადება/ მიზეზი                             | გამონადენი ცხვირიდან | ხველა | სუნთქვა               | უმაღლობა | სიცხე | ზომები  |
|---|----------------------|-------|-----------------------|----------|-------|---|
| ლორწოვანი გარსის ანთება მტვრის ან მავნე გაზების შედეგად |                      | •     |                       |          |       | გადავამოწმოთ კლიმატი ფერმაში, საფენი ნამჯა და საკვები |
| დაავადების დაწყება                                      | წყლიანი და ნათელი    | •     | გახშირებული           |          |       | ინტენსიური დაკვირვება ვეტერინარი                      |
| ანთება ხახის არეში                                      |                      | •     |                       | •        |       | ვეტერინარი  |
| ქრონიკული ბრონქიტი/ფილტვების ანთება/ფილტვის ჭია         | მოთეთრო ფერის        | •     | გახშირებული           | •        |       | ვეტერინარი  |
| მწვავე ბრონქიტი / ფილტვების ანთება                      | •                    | •     | დაძაბული, გახშირებული | •        | •     | ვეტერინარი, ცალკე გამოყოფა                            |

- ავადმყოფობის დროს, ჯგუფებად მოთავსებული ცხოველები უნდა განცალკევდნენ
- გამოკვლევისა და მკურნალობისთვის საჭიროა თითოეული ცხოველის ფიქსაცია

**რესპირატორული დაავადებების პრევენცია**

რესპირატორული დაავადებები სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. ცხოველის მახასიათებლებს, პათოგენებსა და გარემოს შორის ურთიერთქმედება გადამწყვეტია დაავადების გავრცელებისა და სიმძიმისთვის. ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ბაგაში არსებული კლიმატი. ცხოველისთვის შეუფერებელი ჰაერის ტემპერატურა ან ტენიანობა, გავლენას ახდენს ცხოველების კეთილდღეობაზე. ნაკაწრები, მავნე აირები ან მტვერი აღიზიანებს და აზიანებს ლორწოვან გარსს და ცხოველს უფრო მოწყვლადს ხდის რესპირატორული დაავადებების მიმართ. ამიტომ ყველა ფერმერმა უნდა უცოდეს ფერმაში კლიმატური პირობების დარევის შეცნობა და მათი აღმოფხვრა, რაც რესპირატორული დაავადებების მნიშვნელოვანი პრევენციაა.

## ჰაერის ტემპერატურის ცხოველზე მორგება

თითოეული ცხოველის სახეობისთვის არსებობს გარემოს ტემპერატურის დიაპაზონი, რომლის ფარგლებშიც მის ორგანიზმს მინიმალური ძალისხმევით შეუძლია შეინარჩუნოს სხეულის ტემპერატურა. ეს, ეგრეთ წოდებული „თერმული ნეიტრალიტეტის ზონა“ ასევე დამოკიდებულია ცხოველების ასაკზე. ახალდაბადებულ ცხოველებში ის მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ზრდასრულებში.

თუ ცხოველებს ცივა, ისინი სითბოს გამომუშავებას კანკალით ან ბალნის ყალყზე დადგომით ცდილობენ. ამასთან ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები სითბო დაკარგონ. ღორები ხშირად მუცელზე წვებიან ან თუნდაც ერთმანეთს ეხუტებიან (განსაკუთრებით გოჭები). საკვერცხე ქათმები საგრძნობლად მეტს ჭამენ ხოლმე, ხოლო მათი პროდუქტიულობა მცირდება. როდესაც ცხოველებს სცხელათ, ისინი ოფლიანობენ, სუნთქვა უჩქარდებათ, ნაკლები საკვებს იღებენ და ბევრს სვამენ.

## ზედმეტად მაღალი ან დაბალი ტენიანობა

პრინციპში, პირუტყვი კარგად ერგება ხოლმე ჰაერის ტენიანობის რყევებს. თუმცა, მაღალ ტემპერატურასთან ერთად, მაღალმა ტენიანობამ შეიძლება დაასუსტოს ცხოველები, რადგან მათ სხეულიდან სითბოს გამოყოფა უჭირთ. დაბალ ტემპერატურისა და მაღალ ტენიანობის დროს - მაგალითად წვიმის შემდეგ - ცხოველები ძალიან ნელა შრებიან, რაც მათ მოწყვლადს ხდის რესპირატორული დაავადებების მიმართ. მაღალი ტენიანობა ასევე ხელს უწყობს პათოგენების გამრავლებას.

მაღალი ტენიანობის ამკარა ნიშნებია კონდენსაცია ჭერზე ან კედლებზე და სადგომის იატაკის ცუდი გაშრობა. თუ მაღალი ტენიანობა დიდხანს გაგრძელდა, კედლები და ჭერი ობის გამო შავდება.

დაბალი ტენიანობაა ხოლმე ზამთარში ხელოვნურად გამთბარ სადგომებში. ასეთ დროს მაღალია სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის გამოშრობის საფრთხე, რაც აადვილებს ცხოველის ავად გახდომას. ის ასევე ხელს უწყობს სადგომში მტვრის წარმოქმნას. მტვრის მაღალი კონცენტრაცია კი ხველას იწვევს.

## თერმული ნეიტრალიტეტის ზონა:

გარემოს ტემპერატურის დიაპაზონი, რომლის ფარგლებშიც ცხოველს სხეულის ტემპერატურა მინიმალური ძალისხმევით შეუძლია შეინარჩუნოს.

## მოერიდეთ ძლიერ ორპირ ქარს

ჰაერის მოძრაობა, ჰაერის ტემპერატურასთან ერთად, დიდ გავლენას ახდენს სიცხის დროს სითბოს გაცემაზე და სიცხის დროს ჰიპოთერმიაზე. ჰაერის მაღალ ტემპერატურაზე ჰაერის ნაკადის მოძრაობის სიჩქარე სათანადოდ უნდა გაიზარდოს. ჰაერის დაბალ ტემპერატურაზე კი, ცხოველებს საშუალება უნდა ჰქონდეთ თავი მოარიდონ ორპირ ქარს. ჰაერის მოძრაობის გაზომვა და შეფასება უნდა მოხდეს ცხოველების საცხოვრებელ ზონაში (და არა სამოდრაო კორიდორში!). ვენტილაციის არარსებობა ან სადგომის ძალიან მცირედი განიავება იწვევს მავნე გაზების კონცენტრაციის გაზრდას. შედეგად ჰაერი სადგომში არის ან ნესტიანი ან მშრალი და მტვრიანი.

მოერიდეთ ცხოველები ძლიერ ორპირ ქარს!!!  
ორპირი ქარის სიძლიერის შეფასება უნდა მოხდეს ცხოველების საწოლ ადგილას.

## სუფთა ჰაერი

ცხოველთა დახურულ სადგომებში ჰაერი შესაძლოა მავნე გაზებითა და მტვრით დაბინძურდეს.

სადგომში მავნე აირების გაჩენის მიზეზი ცხოველთა მეტაბოლიზმია. მავნე აირები სუნთქვით ან შარდთან და განავალთან ერთად გამოიყოფა. არასაკმარისი ვენტილაციის პირობებში მავნე აირებმა შეიძლება მაღალ კონცენტრაციას მიაღწიოს.

გაზიდან გამომდინარე, ჩნდება ოდნავ მძაფრი სუნი. ადამიანი გრძნობს ქავილს თვალებში და ლორწოვან გარსზე, ზოგ შემთხვევაში უწყლიანდება თვალები და ჩნდება ხველის სურვილი. ადამიანს უჩნდება განცდა, რაც შეიძლება მალე დატოვოს სადგომი. მავნე გაზები ასევე აღიზიანებს და აზიანებს ცხოველების სასუნთქი გზების ლორწოვან გარსს, რაც ცხოველებს უფრო მოწყვლადს ხდის პათოგენების მიმართ. ფერმებში, სადაც სუფთა ჰაერის პრობლემაა, ჰაერი ხშირად მტვრით არის დაბინძურებული. მტვრი შედგება საკვების, ნაგვის, კანის/თმის/ბუმბულის კომპონენტების და გამხმარი განავლის ნაწილაკებისგან, რომელსაც ადამიანი და ცხოველი შეისუნთქავს. მტვრის მაღალი კონცენტრაციის ნიშნებია ხველა და ცემინება სადგომში სიარულისას. მტვრის ნაწილაკების დანახვა ზოგჯერ შუქზეც შეიძლება. მტვრის ნაწილაკები აზიანებს სასუნთქ გზებს.

კარგი ვენტილაცია არის ზემოაღნიშნული მავნე მოვლენების პრევენცია.



## 2.2 საჭმლის მონელების დარღვევების მქონე ცხოველები

საჭმლის მომნელებელი დარღვევები გვხვდება ყველა პირუტყვში. თუმცა, საჭმლის მომნელებელი მონელების ნაკლებად ხშირია ღორებსა და ფრინველებში.

საქონლის შემთხვევაში, ფერმერი დიდ გავლენას ახდენს საკვების ხარისხზე, მათ შორის, მისი სასუქების განაყოფიერების ხარჯზე. არასწორი კვებიდან გამომდინარე შეცდომებთან ერთად საკვების ცუდი ხარისხი არის საჭმლის მომნელებელი დარღვევების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზი



ჯანსაღი ძროხის ნაკელი სქელია და მიწაზე მრგვალი დეველის ფორმას იღებს. თხელი განავალი არასწორი კვების ან ნაწილაკების დაავადების შედეგია.

### საჭმლის მონელების დარღვევების მქონე ცხოველების ამოცნობა და მოვლა

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საჭმლის მონელების დარღვევების ამოცნობა შედარებით მარტივად არის შესაძლებელი, მაგალითად, მადის ნაკლებობითა და წარმოების დაქვეითებით.

თუ საჭმლის მონელების პრობლემები დროულად არ იქნა შეცნობილი და აღმოფხვრილი, იზრდება იმის რისკი, რომ ცხოველი ვედარასოდეს დაუბრუნდეს რძის წინანდელი წარმოების დონეს.

დაზარალებული ცხოველების ფეკალიები მნიშვნელოვან მინიშნებას იძლევა საჭმლის მონელების დარღვევის ტიპის შესახებ. მაგალითად, ძალიან წყლიანი გამონადენი ჩვეულებრივ ტოვებს კვალს კუდზე.

საჭმლის მონელების დარღვევას შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს.

#### ძროხის ფეკალის შესაფასებელი ტესტი ჩექმით:

2-4 სანტიმეტრიანი მრგვალი ფორმის განავალი, ოდნავ წებოვანი; განავალი ჩექმის აწევისას ჩექმას არ ეწებება

### ძროხებში საჭმლის მონელების დარღვევების გავრცელებული მიზეზები


| დაავადება                               | ზოგადი დაკვირვება           |               |             |                     | კონკრეტული დაკვირვება   |
|---|-----------------------------|---------------|-------------|---------------------|---|
|   | მალა                        | პროდუქტიულობა | ტემპერატურა | განავალი            |   |
| საყლაპავი მილის გაჭედულობა              | არ ჭამს                     |               |             |                     | მოუსვენრობა, გაჭიმული თავი, ხრჩობა, ძლიერი ნერწყვდენა, შესაძ. გაზები  |
| გაზები                                  | არ ჭამს                     |               |             |                     | მოუსვენრობა, შებერილობა, ჩქარი და მოკლე სუნთქვა   |
| კოლიკი                                  | არ ჭამს                     |               |             | არა                 | მოუსვენრობა, კანკალი, ძლიერი ოფლიანობა, ღრენა, კვნესა, ხშირი დაწოლა, მუცლით მირტყმა, გახშირებული განავალი და მარცვა |
| უცხო სხეული                             | ცვალებადი                   | უცვარი ვარდნა | მაღალი      | სქელი               | მოდუნული ზურგი, სპონტანური კვნესა, ტკივილი აღმართზე სიარულის დროს, შესაძ. მცირეოდენი გაზებიც                        |
| მაჭიკის შებრუნება<br>Dislocatio abomasi | იღებს ნაკლებ საკვებს        | ყანყალი       |             | ცვალებადი           | ხბო ახალი მოგებულია ან მშობიარობის წინა პერიოდი. სიგამხდრე, მარცხენა ფერდის შეწევა, შესაძ. კეტოზა                   |
| ფაშვის აციდოზი                          | იღებს ბევრად ნაკლებ საკვებს | კლება         | დაბალი      | წყლიანი, აყროლებული | შემცირებული ცოხნა, წყლის გახშირებული მიღება   |
| ფადარათი                                |                             | მსუბუქი კლება |             | თხელი               | წყლის გახშირებული მიღება  |

### საყლაპავი მილის დაცობა

ძროხები სწრაფად იღებენ დიდი რაოდენობით საკვებს. ამიტომ შესაძლებელია მთელი ვაშლის, მსხლის, კარტოფილის ან ჭარხლის თავები გადაყლაპონ. ისინი ადვილად შეიძლება მოხვდნენ საყლაპავში. საშიშროება განსაკუთრებით დიდია, როდესაც ვაშლს პირდაპირ ხიდან მიირთმევენ (დაჭიმული კისერი).

საყლაპავი მილის დაცობა იმდენად დრამატული არაა, რამდენადაც კვებით გამოწვეული მეტეორიზმი (ტიმპანია). უმეტეს შემთხვევაში, საჭიროა ვეტერინართან კონსულტაცია, რომელიც სპაზმის საწინააღმდეგო საშუალებებს დანიშნავს. შემდეგ შეიძლება უცხო სხეულის ამოღება ან მასზე მიწოლა და ფაშვში ჩაგდება. ამ დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან საყლაპავი შეიძლება ძალიან ადვილად დაზიანდეს

ზონდის (მილაკის) გამოყენება დააფიქსირეთ ძროხის თავი ილღის ქვეშ და ქვედა ყბა ქვემოდან დაიჭირეთ. კისერი დაჭიმული და წინ წაწეული უნდა იყოს ისე, რომ ძროხა თავის ქანაობა ვერ მოახერხოს. მეორე ხელით, ფარინგეალური ზონდი (მილაკი) ფრთხილად და ზეწოლის გარეშე ჩაუდეთ ძროხას პირში. როდესაც მილი ხორხს მიარწევს, მცირე წინააღმდეგობას იგრძნობთ. ძროხა ყლაპვით მოძრაობას გააკეთებს და ზონდს საყლაპავი მილისკენ მიმართავს. ამის შემდეგ წინააღმდეგობა გადალახული იქნება და შესაძლებელი იქნება ზონდი ზედმეტი დაწოლის გარეშე უფრო ღრმად, ფაშვში ჩავაცუროთ.



საყლაპავში ჩარჩენილი ვაშლის ამოღების არასწორი მცდელობისას, ზონდმა საყლაპავი გახვრიტა



ზონდის ჩასადებად, ძროხა ერთი მკლავით მყარად უნდა იყოს დამაგრებული. ამ გზით შესაძლებელია ტრავმების თავიდან აცილება


**მეტეორიზმი (ტიმპანია, შებერილობა)**

მეტეორიზმი არის ფაშვში გაზების დაგროვება. საკმაოდ ხშირი და სახიფათოა მეტეორიზმი ქაფიანი ღულილით (გაზის მრავალრიცხოვანი პატარა ბუშტი ფაშვში). გაზები მეთანი, ნახშირორჟანგი და აზოტია. პირუტყვს, რომლებიც თივის წინასწარი მიღების გარეშე, ადვილად ასათვისებელ და ფერმენტირებად საკვებს იღებენ, უვითარდება მეტეორიზმი. მსუბუქ შემთხვევებში, ძროხას შებერილობის წამალს აძლევენ და მარცხენა საშიმშილე ფოსოს უზევენ. ასევე სასარგებლოა ცხოველის აღმართზე წყვანა ან წინა მხრით შემადლებულზე დაყენება. ამგვარად, ფაშვში არსებული გაზები უფრო ადვილად ამოდიან ყელში

სერიოზულ შემთხვევებში, ანუ თუ ზემოაღნიშნულ ზომებს შედეგი არ მოაქვთ, საჭიროა ვეტერინართან დაკავშირება, რადგან ცხოველის სიცოცხლის გადასარჩენად შეიძლება აუცილებელი გახდეს ფაშვის პუნქცია. ამისათვის ტროაკარს იყენებენ, რომლის ნასვრეტები ხელს უწყობს გაზების თავისუფლად გამოსვლას.



გაბერილი ფაშვი.



ფაშვის გახვრეტა მარცხენა საშიმშილე ფოსოდან

**ქაფიანი ღულილი**

ქაფიანი ღულილი სწრაფად ვითარდება და ძალიან მოკლე დროში ფაშვში წნევის მასიურ მატებას იწვევს. დაზარალებული ძროხები მრგვალდებიან და კასრის ფორმას იღებენ. ზეწოლა დიაფრაგმაზე აფერხებს სუნთქვას და სისხლის მიმოქცევას. საბოლოოდ, გაზები სისხლში აღწევს, რაც საბოლოოდ სისხლის მიმოქცევისა და გულის მწვავე უკმარისობას იწვევს

საკვების ისეთი სახეობები, როგორც არის სამყურა, ესპარცეტი, იონჯა, ტკბილი ბარდა, თალგამი - განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც სწრაფად იზრდებიან და ჯერ ყვავილობა არ დაუწყიათ - ხშირად იწვევენ მეტეორიზმს. ამიტომ საფრთხე ყველაზე დიდია გაზაფხულზე და შემოდგომაზე. მსგავსი ეფექტი აქვს ასევე ჭარხალს, კარტოფილს, ლუდის წარმოების ქვეპროდუქტებს და დიდი რაოდენობით მარცვლეულისა და ცილის კონცენტრატების მიღებას.

ასევე საშიშია გაყინული ბალახი, ცივი სილოსი, სველი საკვები (გაზაფხულზე) ან ზედმეტად გაცხელებული საკვები. ყველა ნახირში არის მოწყვლადი ძროხები. როგორც წესი, ისინი ძალიან კარგი მჭამელები არიან, ამიტომ მათ განსაკუთრებით კარგად უნდა დავაკვირდეთ, განსაკუთრებით კი საძოვრული კვების დროს. მეტეორიზმის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ყველა ასეთი ცხოველი საძოვრებს უნდა მოვაცილოთ.

**მეტეორიზმის საწინააღმდეგო საშუალებები**

საუკეთესოა სილიკონის ბაზაზე დამზადებული ქაფის ჩამხშობი საშუალებები. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას პარაფინის ზეთი, მცენარეული ზეთები, ზეთუნის ზეთი ან გაზიანი მინერალური წყალი.

## კოლიკა


მუცლის ტკივილით გამოწვეულ ძლიერ მოუსვენრობას - კოლიკა ეწოდება. ცხენისგან განსხვავებით, ძროხა მძიმედ რეაგირებს ნაწლავის მძიმე დარღვევების დროსაც კი. ხშირ შემთხვევაში, მიზეზი ნაწლავების მიდამოშია, მაგრამ არა ყოველთვის! შესაძლო მიზეზებია ასევე ნაწლავის კრუნჩხვები ან ნაწლავების ცალკეული ნაწილების შეკუმშვა ან ბლოკირება. კოლიკის შემთხვევაში, რაც შეიძლება მალე უნდა მიმართოთ ვეტერინარს. კოლიკის გამოწვევი მიზეზის დასადგენად, ვეტერინარს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია კვების რაციონის, მადის ან განავლის ცვლილებისა და ხარისხის შესახებ.

## უცხო სხეული

ვინაიდან ძროხა თავდაპირველად საკვებს პირდაპირ ყლაპავს, უცხო სხეულები ადვილად ხვდებიან კუჭში. ბასრმა უცხო სხეულმა (ნემსი, ლურსმანი, მავთული) შეიძლება კუჭის კედლები გაჭრას და პერიტონეუმი დააზიანოს, რასაც ტკივილი, მადის დაკარგვა და პირველ ეტაპზე მსუბუქი პერიტონიტი მოჰყვება. თუ უცხო სხეულით გამოწვეული დაზიანება მხოლოდ უმნიშვნელოა, ცხოველის იმუნიტეტი შეიძლება საკმარისი იყოს ანთების ჩასაქრობად. თუმცა, პერიტონიტი ასევე შეიძლება განვითარდეს ქროილობის ადგილიდან და თუ ცხოველს დროულად არ ვუმკურნალებთ, ფატალურ შედეგამდე მივალთ. უცხო საგნებიან ცხოველებს აშიმშილებენ, რაც კუჭის ნაწილობრივ განტვირთვას იწვევს. მაგნიტის საშუალებით კი შეიძლება გადაყლაპული ობიექტების „დაჭერა“ და ბლოკირება. ამის პარალელურად, ანტიბიოტიკების ინექციამ შეიძლება შეანელოს ადგილობრივი ანთება და ამით თავიდან აგვაცილოს ფართე პერიტონიტი. უცხო სხეულს შეუძლია ასევე მეზობელ ქსოვილებში, მაგალითად, პერიკარდიუმში, ფილტვებში, ღვიძლში, კუნთებში გადაინაცვლოს, რაზეც დაზარალებული ორგანო მძიმე ჩირქოვანი ანთებით ან აბსცესებით რეაგირებს.



თუ საჭმლის მომნელებელ ტრაქტში უცხო სხეულის მქონე ძროხას მკერდზე დავუკაკუნებთ, ის კვნესას იწყებს.



უცხო სხეული ბადურაში



გადაყლაპული მაგნიტი მეტალის ობიექტებს „იჭერს“ და მათ ბლოკირებას ახდენს.

## მაჭიკის დისლოკაცია

მაჭიკი მუცლის კედლის მარჯვნივ მდებარეობს. თუმცა, მშობიარობის ახლო პერიოდში, მან შეიძლება ადგილმდებარეობა შეიცვალოს ან ფაშვის ქვემოდან მუცლის მარცხენა მხარეს ან - რაც იშვიათად ხდება - მარჯვნივ ზემოთ გადაინაცვლოს. ამგვარი დისლოკაცია აფერხებს საჭმლის მონელების ნორმალურ პროცესებს და იწვევს ჯანმრთელობის პრობლემებს. მაჭიკის გადაადგილება ვეტერინარს შეუძლია აღმოაჩინოს ძროხის გვერდების შემოწმებით. უმეტეს შემთხვევაში, მაჭიკის თავის ადგილზე დაბრუნება ქირურგიული ჩარევის შედეგად ხდება.

## ღიარება

ღიარება სხეულის რეაქციაა ნაწლავებში არსებულ მავნე ნივთიერებებზე. ნაწლავის ლორწოვანი გარსი მომატებული რაოდენობის სითხეს გამოყოფს ნაწლავებში (გათხელების ეფექტი). ამასთან, ნაწლავები აძლიერებენ კონტრაქციას, რათა რაც შეიძლება სწრაფად მოცილონ მავნე ნივთიერებები.

ღიარება სხვადასხვა მიზეზის გამო ჩნდება. ამიტომ ხშირად ძნელია იმის შეფასება, უვნებელია ის თუ სახიფათო.

უვნებელი ღიარება უმალ გადაივლის, თუ გამომწვევი მიზეზი დადგინდება და აღმოიფხვრება (მაგ. არასწორი კვება). ღიარების დროს ცხოველები ბევრ სითხეს კარგავენ, ამიტომ მათ მუდამ თავისუფალი წვდომა უნდა ჰქონდეთ სასმელ წყალთან. წყურვილის დაშვება არ არის მკურნალობა, არამედ ცხოველთან სასტიკი მოპყრობა, რამაც შეიძლება ცხოველის სიკვდილი გამოიწვიოს.

მძიმე ღიარული დაავადებები ჩვეულებრივ მხოლოდ ერთ ცხოველს აწუხებს ხოლმე. მის განავალს მძაფრი და უსიამოვნო სუნი აქვს, ცხოველს უქვეითდება მადა და რძის წარმოება და იცვლება სხეულის ტემპერატურა. ასეთი მძიმე ღიარების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ვეტერინარს. მას შეუძლია ცხოველ საჭირო სითხეები მისცეს (მაგ. ელექტროლიტური ბუფერული ხსნარი ღიარების მქონე ხბოებისთვის).

ღიარების მიზეზები შეიძლება იყოს:

- კვების შეცდომები: ცივი, სველი ან გაყინული ბალახი; დაობებული თივა.
- კუჭის დაავადებებმა შემდგომში შეიძლება გამოიწვიოს ღიარება (მაგ., ფაშვის აციდოზი)
- ჭიები (მაგ. საძოვრული კვების დროს).
- ნაწლავების ანთების გამომწვევი ინფექციები (კოკციდიები, ღიარების ბაქტერიები, ღიარების ვირუსები).

### საჭმლის მომწოდების პრობლემების პრევენცია

საჭმლის მომწოდებელი დარღვევების ყველაზე მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური ღონისძიება, ცხოველზე და მის საჭმლის მომწოდებელ ტრაქტზე მორგებული სათანადო კვებაა.

### საჭმლის მომწოდების პრობლემების პრევენცია

| დაავადება                               | ადვილად მოსაწოდებელი საკვები | შესამცირებელი საკვები                                 | პრევენცია   |
|---|------------------------------|---|---|
| საყლაპავი მილის გაჭედობა                |                              | მთლიანი ვაშლი, მსხალი, კარტოფილი ან ჭარხალი           | არ ვაძოვოთ ხილის ხეების ქვეშ  |
| გაზები                                  | მშრალი საკვები               | სამყურა, სწრაფად ამოსული ან გაყინული საკვები          | პირუტყვს კარგად დავაკვირდეთ, მზად გვქონდეს საჭირო ხელსაწყოები და გაზების წამალი     |
| კოლიკი                                  |                              | უმეტესწილად არაა საკვებზე დამოკიდებული                |   |
| უცხო სხეული                             |                              | უცხო სხეული საკვებში                                  | გადავაცლაპოთ მაგნიტი  |
| მაჭიკის შებრუნება<br>Dislocatio abomasi | მშრალი საკვები               | კონცენტრატი   | ახალ ნამშობიარებ ძროხას საკმარისი რაოდენობის თბილი წყალი მივცეთ (50 ლ)              |
| ფაშვის აციდოზი                          | მშრალი საკვები               | კონცენტრატი უნდა გადანაწილდეს ბევრ სხვადასხვა ულუფაზე | საკვებში შევიტანოთ ბოჭკოვანი რაციონი, ფაშვის სპეციალური საკვები                     |
| დიარეა                                  | მშრალი საკვები               | ცივი, სველი, გაყინული ან დაობებული ბალახი             | ჩვეულებრივ საკვებზე ნელი გადასვლა, მდელაზე ადეკვატური დალევა, წყლის მიღების ჰიგიენა |

### 2.3 მოტორიკის დარღვევის მქონე ცხოველები

მოტორიკის დარღვევის მიზეზები მრავალფეროვანია: უბედური შემთხვევებმა ან დაავადებებმა შეიძლება დააზიანოს სახსრები, მყესები, ძვლები, კუნთები ან ნერვები და ცხოველი კოჭლობას იწყებს. მაგრამ მოტორიკის დარღვევა ასევე შეიძლება გამოიწვიოს ნერვული სისტემისგან მეტაბოლურმა დაავადებებმა თუმცა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოტორიკის დარღვევის ყველაზე გავრცელებული მიზეზი ჩლიქების პრობლემები, რომლებიც, როგორც წესი, გამოწვეულია ჩლიქების არასწორი მოვლის გამო.

მოტორიკის დარღვევები ამცირებს ცხოველების პროდუქტიულობას და, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება ცხოველის დაკვლაც მოგვიწიოს. ამიტომ აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად ამოვიცნოთ მოტორიკის დარღვევები, რათა დროულად ვუმკურნალოთ დაავადებულ ცხოველს.

#### მოტორიკის პრობლემების ამოცნობა

მოტორიკის ყველაზე გავრცელებული დარღვევა კოჭლობაა. მისი ამოცნობა ადვილია ცხოველის მოძრაობისას. კოჭლობის შემთხვევაში ცხოველი ცდილობს ერთი ან რამდენიმე კიდური ნაკლებად დატვირთოს. ამის მიზეზი კი, ტკივილი ან დამბლაა. ცხოველის პარალიზების ხარისხი დამოკიდებულია ტკივილის სიმძიმეზე. მძიმე კოჭლობის შემთხვევაში ცხოველი დაზიანებულ კიდურს აღარ ტვირთავს.

კოჭლობის მიზეზები შეიძლება იყოს:

- ჩლიქების პრობლემები
- შეშუპებული სახსრები
- კუნთების ან ნერვების დაზიანება

#### ჩლიქების დაავადებები

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კოჭლობის ხშირი მიზეზია ტკივილი ჩლიქის არეში. ჩლიქის პრობლემები თითქმის ყოველთვის იწვევს კოჭლობას, რადგან ცხოველი ცდილობს მტკივნეული ჩლიქი განმუხტოს. თუ რამდენიმე ჩლიქი დაზარალდა, ცხოველი ცდილობს ნაკლები იმოძრაოს და სიმძიმის ცენტრი ხშირად გადაანაწილოს.

#### მტკივანი ჩლიქის ნიშნები

- მტკივანი ჩლიქის „წინწაწეულად“, „გვერდულად“, „გარეთ“ დადგმა.
- უკან ფეხები გარეთკენ არის გაწეული ან წინწაწეულია
- წინა ფეხები ან ერთმანეთზეა მიბჯენილი ან გადაჯვარედინებულია

#### რამდენიმე მტკივანი ჩლიქის ნიშნები

- „ბოლოთის ცემა“: ხშირად ხან ერთ, ხან მეორე ფეხზე დაყრდნობა.
  - ადგომის დროს წინა მუხლებზე დიდხანს დაყოვნება
  - დიდხანს წოლა, დიდხანს დგომა
- კიდურის აწევით და ჩლიქზე დაკვირვებით, შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რომელ ჩლიქს აქვს პრობლემა

#### მსუბუქი კოჭლობა

ცხოველი გადაადგილებისას კოჭლობს, მაგრამ ნახირს მაინც მისდევს.


#### ზომიერი კოჭლობა

ცხოველი კოჭლობს, ისვენებს/დგომის დროსაც ცდილობს სახსარი განტვირთოს. ნახირს მხოლოდ უხალისოდ ან იძულებით მიჰყვება

#### ძძიმე კოჭლობა


ცხოველი საერთოდ აღარ აწევს დაავადებულ კიდურს და აღარ მიყვება ნახირს

**ძროხის ჩლიქი გვერდიდან**




- 1 უკან ჩლიქი
- 2 გვირგვინი
- 3 ქუსლი
- 4 ჩლიქის კედელი
- 5 რქოვანა შრე
- 6 გარე კედელი
- 7 ჩლიქის წვერი

**ძროხის ჩლიქი ქვემოდან**



- 1. ქუსლი
- 2. ქუსლისა და ტერფის ფართობი
- 3. გარე კედელი
- 4. ტერფი
- 5. შიდა კედელი
- 6. თეთრი ხაზი
- 7. შიდა და გარე კედლების რქოვანი გარსი



- 1. პროქსიმალური ფალანგი
- 2. დერმა/ - წარმოქმნის რქოვან ქსოვილს და სამი ნაწილისგან შედგება
- 3. შუა ფალანგი
- 4. ბალიში მრავალი ნერვისა და კაპილარისგან შედგება. იგი შუა ფალანგსა და ქუსლს შორის არის მოქცეული და დატვირთვის შერბილებას ემსახურება
- 5. დერმას 2 ფუნქცია აქვს:  
იგი მექანიკურად მყარად არის ეპიდერმისთან დაკავშირებული კვებავს ეპიდერმისს, რადგან მას საკუთარი სისხლძარღვები არ გააჩნია
- 6. დისტალური ფალანგი
- 7. ეპიდერმისი ჩლიქის მაგარ, რქოვან ქსოვილს ქმნის. დერმასა და ეპიდერმისს შორის ქსოვილის თხელი ფენა მდებარეობს, სადაც მუდამ ახალი უჯრედები და კერატინი წარმოიშობა, შემდეგ ნელ-ნელა კვდება და რქოვან ქსოვილად იქცევა. დერმას გაღიზიანება ნერვების გაღიზიანებასაც იწვევს, რაც ტკივილების გაჩენის მიზეზი ხდება,
- 8. რქოვანი ნაწილი გამაგრებული მკვდარი უჯრედებისგან შედგება და ჩლიქს დაზიანებისგან იცავს.



## ჩლიქის მექანიზმი

საკმარისი მოძრაობა ძალზედ მნიშვნელოვანია რეზისტენტული რქოვანი გარსის ფორმირებისთვის. მოძრაობის დროს ჩლიქები ასევე იწმინდება და ნორმალურად იცვითება ჩლიქის ზრდას ხელს უწყობს მისი მექანიზმი და იშვიათი ანთებები

- ჩლიქი უფრო სწრაფად იზრდება წვერზე, ვიდრე ბალიშზე.
- კედლების რქოვანი ნაწილი თვეში დაახლოებით ოთხიდან ექვს მილიმეტრამდე იზრდება ძირზე კი, ოდნავ ნელა, საშუალოდ თვეში სამი მილიმეტრით.

ოპტიმალური ზრდისა და ჩლიქების სათანადო ცვეთისათვის პირუტყვი საკმარისად უნდა მოძრაობდეს. დიდი ხნის განმავლობაში დგომა, მაგალითად, სადგომში, იწვევს არათანაბარ ზეწოლას ჩლიქებზე და სახსრებზე. ეს იწვევს სისხლის არათანაბარ განაწილებას, რაც თავის მხრივ, იწვევს არათანაბარ ზრდას და საბოლოოდ ჩლიქების არათანაბარ სიმაღლეს.

ზედმეტად მაღალი ჩლიქები იწვევენ ჩლიქების გადატვირთვას და მისი კანისა და გარსის გაღიზიანებას. ეს კი, იწვევს ტკივილს ჩლიქის არეში.

არასაკმარისი ცვეთისა და მოვლის შემთხვევაში, ჩლიქები ძალიან გრძელდება. ასეთ ჩლიქებს სადგომის ჩლიქებს უწოდებენ.


ჩლიქის შიგნით არათანაბარი ზეწოლა ხშირად იწვევს ჩლიქის ეპიდერმისის დაავადებას და ჩლიქის სხვა დაავადებებს, როგორცაა წყლულები, თეთრი ხაზის დაავადება (ფხვიერი კედელი, ღრუ კედელი, ჩირქოვანი კედელი) და ჩლიქის ლპობა

მოძრაობის დროს ჩლიქები სისხლის მიმოქცევას უწყობენ ხელს. მოძრაობა ასევე წმენდს სისხლს და ხელს უწყობს რქოვანი ქსოვილის წარმოშობას და გახეხვას.

ჩლიქის რქოვანი ქსოვილი თვეში სამიდან ექვს მილიმეტრამდე

ნორმალური ჩლიქი თანაბრად იზრდება

- 1 საყრდენი
- 2 ტყავი/კანი
- 3 რქოვანი გარსი



## ჩლიქების სმირი დაავადებები


|                                       | მიზეზი   | სიმპტომი   |
|---------------------------------------|--|--|
| ტერფის წყლული                         | სადგომის ჩლიქის არსებობის შემთხვევაში, დისტალური ფალანგის უკანა ნაწილი დერმას აწვება. შესაბამისად აღარ წარმოიშვება რქოვანი ქსოვილი, რასაც წყლულების წარმოშობასთან მივყავართ. | წყლულის არსებობის ადგილას ტერფის რქოვანი ქსოვილი დაზიანებულია და ზოგჯერ ცოცხალი დერმაც მოჩანს  |
| თეთრი ხაზის დაავადება = დერმის ანთება | ჩლიქის კედლის რქოვანი გარსის ანთების შედეგად თეთრი ხაზი ფუჭდება და მტვრევადი ხდება. შედეგად კედელს უჩნდება ხვრელები ან ჩირქდება  | კედელი მყიფე ხდება, როდესაც მას რქოვანი ნაწილები ძვრება. ღრუ კედელი ვითარდება, როდესაც ბაქტერიები ანადგურებენ თეთრი ხაზის რქოვან გარსს. შედეგად ჭუჭყი აღწევს გამოდრუტულ ადგილებში ჩირქოვანი კედელი იქმნება, როდესაც ბაქტერიები აინფიცირებენ ჩლიქის ცოცხალ გარსს. |
| ქუსლის სიღამპლე                       | ფერმაში არსებული არასათანადო ჰიგიენა ( სიღამპლის ბაქტერიები), არასწორი დატვირთვა აზიანებენ დერმას, რქოვან ქსოვილს, წარმოშობენ მასში ნაპრალებს                                | შავი და ღრმა ნაპრალები. ჩნდება წყლულები და ჩირქი   |
| ჩლიქის პოდოდერმატიტი                  | ჩნდება ხოლმე იმ ტიპის დაავადებების შემდეგ, როგორიცაა მაგ. ფაშვის აციდოზი. საშვილოსნოს ან ჩირქოვან ანთებებს სისხლში მომწამვლელი ნივთიერებები გადააქვთ.                        | დერმა ცუდ რქოვან ქსოვილს წარმოშობს, ჩნდება ნაპრალები კედელზე, იღუნება წინა ჩლიქის კედელი დაზიანებული თეთრი ხაზი. ტერფის რქოვანი ნაწილის შეფერილობა (მოყვითალო - მოწითალო) ქუსლის ცუდი რქოვანი ქსოვილი.   |
| პანარიციუმი                           | ინფექცია ჩნდება დაზიანებულ კანში ჩირქოვანი ბაქტერიების შეღწევის შედეგად. კანის დაზიანებას ხელს უწყობს ზედმეტი სისველე (დარბილებული კანი) და ზედმეტი სიმშრალე (ტყდომადი კანი) | ჩლიქებს შორის არსებული დარის კანის ან ჩლიქის გვირგვინის უეცარი შემუპება, რასაც საშუალო ან ძლიერი კოჭლობა მოჰყვება  |



ტერფის წყლული



ქუსლის სიღამპლე



პანარიციუმი



პოდოდერმატიტი

ჩლიქის ჩირქოვანი ნაპრალები



## შესიებული კიდურები


თუ ცხოველი კოჭლობას იწყებს, გარდა ჩლიქების გამოკვლევისა, შესამოწმებელია მთელი ცხოველი, ხომ არ აქვს მას სადმე შეშუპება. ისინი შეუიარაღებელი თვალით ჩანს. ხშირად სახსრებია ხოლმე შეშუპებული. შეშუპება ანთებაზე მიუთითებს. სახსრის ანთების დროს სახსრის კაფსულის ლორწოვანი გარსი წარბი რაოდენობით სითხეს წარმოქმნის და მოცულობაში იზრდება.

სახსრების ანთების მიზეზი შეიძლება იყოს უბედური შემთხვევა ან გადაჭარბებული დატვირთვა. თუმცა, სახსრების ანთება ასევე შეიძლება წარმოიშვას სხვა შინაგანი დაავადებების შედეგად, როგორცაა ჭიპის, საშვილოსნოს ან ცურის ანთება.

სახსრების გარდა, შეიძლება მყესებიც დაზიანდეს, მაგალითად გადატვირთვის ან უბედური შემთხვევის გამო. მაგალითად ნაჩხვლეტებმა შეიძლება გამოიწვიოს ინფექციები, რომლებიც ასევე მყესებისა და სახსრების ანთებას იწვევენ. ინფექციური ანთების დროს ცხოველს აქვს მომატებული ტემპერატურა.

